სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

ხვამლის მთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციის მომსახურების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე)

სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #1

ქ. თბილისი 15.04.2019 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:
ნიკოლოზ ანთიძე - გენერალური დირექტორი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
დავით ლომიტაშვილი – გენერალური დირექტორის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;
პაატა დოლიძე – გენერალური დირექტორის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;
ალექსანდრე ჩიხრაძე – იურიდიული სამსახურის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი;
ხათუნა მენაბდიშვილი – შესყიდვების სამსახურის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი;
კონსტანტინე ფიცხელაური – არქეოლოგიის სამსახურის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი;
ნოდარ მოსიაშვილი – ძეგლთა რეაბილიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;
გუგა გოგაძე – შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.
სხდომას არ ესწრებოდა მივლიმების გამო:
პაატა გაფრინდაშვილი – გენერალური დირექტორის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი.

დღის წესრიგი:

ხვამლის მთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციის მომსახურების შესყიდვის მიზნით ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე - სატენდერო განცხადებისა და სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტის დამტკიცება.

კომისიამ მოისმინა:

სატენდერო კომისიის წევრის, **კონსტანტინე ფიცხელაურის** გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა: ა) სატენდერო განცხადების პროექტი და ბ) სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი, რომელიც შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანების საფუძველზე და რომლის დამტკიცების შემდგომ უნდა მოხდეს შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ელექტრონული პროცედურის განხორციელება.

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტები, ასევე დადებითად შეაფასა სატენდერო განცხადებისა და სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტები კომისიის თავმჯდომარემ.

კომისიამ დაადგინა:

1. **ხვამლის მთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციის მომსახურების** შესყიდვის მიზნით ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო განცხადებისა და სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი (იხ. დანართები);

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს მოახდინოს სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო განცხადების და სატენდერო პირობების პროექტის მიხედვით შესაბამისი ელექტრონული პროცედურის განხორციელება.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე /ნიკოლოზ ანთიძე/

კომისიის წევრი /დავით ლომიტაშვილი/

კომისიის წევრი /პაატა დოლიძე/

კომისიის წევრი /ალექსანდრე ჩიხრაძე/

კომისიის წევრი /ხათუნა მენაბდიშვილი/

კომისიის წევრი /კონსტანტინე ფიცხელაური/

კომისიის წევრი /ნოდარ მოსიაშვილი/

კომისიის აპარატის წევრი /გუგა გოგაძე/

National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

Подписано цифровой подписью: National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
Дата: 2019.04.15 15:55:21 +04'00'

შესყიდვა დასრულდება ძირითად დროში. დამატებითი რაუნდები არ გაიმართება

შესყიდვის ტიპი	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT)
განცხადების ნომერი	N/A დაამატე რჩეულებში
შესყიდვის სტატუსი	განცხადების პროექტი
შემსყიდველი	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	
წინადადებების მიღება იწყება	19.04.2019 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	22.04.2019 12:00
დაფინანსება	2019 წლის სახსრები
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	8`470.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

- 73300000 - კვლევისა და განვითარების დაპროექტება და განხორციელება

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

- 73300000 - კვლევისა და განვითარების დაპროექტება და განხორციელება

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 01 ნოემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	100.00 GEL
გარანტიის ოდენობა	85 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	160 დღე
დამატებითი ინფორმაცია	

ხვამლის მთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციის მომსახურება

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

ხვამლის მთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციის მომსახურება

1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

ხვამლის მთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაცია

ტექნიკური დავალება

 ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ობიექტების მოვლა-პატრონობა და მათი შენარჩუნება მნიშვნელოვანია სახელმწიფოს განვითარების პროცესში. ჩასატარებელი სამუშაოებით მოხდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესასწავლად და დასაცავად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

 ძირითადი პირობები

მიმწოდებელი შემსყიდველთან შეთანხმებული სამუშაოების გრაფიკის შესაბამისად, წარუდგენს მას ინფორმაციას, წერილობითი ანგარიშის სახით, გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. იგი ვალდებულია, გაითვალისწინოს შემსყიდველის შენიშვნები და წინადადებები, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებას.
სამუშაოების შესრულების გრაფიკი განსაზღვრავს სამუშაოთა მიმდინარეობას და შემსყიდველისათვის ეტაპობრივად წარდგენის გეგმას.

ჩატარებული არქეოლოგიური საინვენტარიზაციო სამუშაოების ანგარიშები, უნდა ჩაბარდეს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს AA4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
შრიფტის სახე -Sylfaen;
ტექსტის შრიფტის ზომა - 11;
სქოლიოს შრიფტის ზომა - 10;
სტრიქონებს შორის ინტერვალი - 1,15;
ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან – 1.5სმ, მარჯვნიდან - 1 სმ, ზემოდან - 2.5 სმ, ქვემოდან 2.5 ს.
ავტორის სახელი და გვარი დაიწეროს სათაურის ქვეშ, მარჯვენა მხარეს. ელექტრონული ფოსტის მითითებით.
სურათები - ნუმერაციის მითითება ტექსტში, ფრჩხილების გამოყენებით, მაგ., (სურ.1).
საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ლიტერატურისა და შენიშვნების ჩატანა სქოლიოში.
რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

ტექნიკური ანგარიში უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შესწავლილი ფართობის ზუსტი ადგილმდებარეობა (მუნიციპალიტეტი, ადგილი, GPS კოორდინატები);
ბ) ძირითადი შედეგები;
გ) საჭიროა იმ მუზეუმების ან დაწესებულების დასახელება, სადაც დაცული იქნება დაზვერვების შედეგად შემთხვევით გამოვლენილი არქეოლოგიური მონაპოვარი.
შესრულებული სამუშაოების ანგარიში შემსყიდველს წარედგინება ელექტრონული ვერსიის _ კომპაქტური CD დისკის (1 ეგზემპლარი) და მყარი ასლების სახით (2 ეგზემპლარი).

 ძეგლის მოკლე აღწერა

ხვამლი, იგივე ხომლი არის კირქვული მასივი საქართველოში, ლეჩხუმში, მხარის დასავლეთ ნაწილში, ცაგერისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. სიმაღლე 2002 მ. ორმაგი კუესტაა. აგებულია ცარცული კირქვებით. სამხრეთისკენ აჩენს 300 მ. სიმაღლის ქარაფს, სადაც მდებარეობს ხვამლის ისტორიული ქვაბ-სახიზარი.

ორივე კუესტის ჩრდილოეთი დაფერდება დაცხრილულია მრავალი კარსტული ძაბრით. მღვიმეებიდან აღსანიშნავია თეკენთერი (შესასვლელი წიფლის ფუღუროდან) და ყინულოვანი მღვიმე ბოგა. ხვამლი შემოსილია შერეული ტყით.

ხვამლის შესახებ ჟამთააღმწერელი და „ქართლის ცხოვრება", ვახუშტი ბატონიშვილი და ივანე ჯავახიშვილი მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდიან.

ხვამლის მთაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დიდი რაოდენობითაა მიმოფანტული პრეისტორიული თუ ისტორიული ხანის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები: ციხე-კოშკების ნაშთები, ქრისტანული ხუროთმოძღვრების ნიმუშები, კარსტული მღვიმეები და სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები. აღსანიშნავია, რომ ეს კუთხე მოსახლეობისაგან დღითიდღე იცლება, რაც შემდგომში ამ რეგიონში რაიმე სამუშაოების ჩატარებას გაამნელებს, განსაკუთრებით კი ძეგლების გამოვლენას, აღრიცხვას და ფიქსაციას. საინვენტარიზაციო სამუშოების განხორციელების შემთხვევაში ხელთ გვექნება ხვამლის მთის ცნობილი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი სრულყოფილი ფოტოდოკუმენტაცია და ველზე მუშაობის დროს მათ შესახებ შეკრებილი ინფორმაცია. ეს ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებების გატარებას აღნიშნულ რეგიონში.

ხვამლის მთის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების ინვენტარიზაციით შეიქმნება ხვამლის მთაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობების საინფორმაციო ბაზა, რაც ხელს შეუწყობს ამ კუთხეში სიძველეების დაცვისა და მოვლა-პატრონობის სწორ დაგეგმვას და სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას. მოპოვებული ინფორმაცია დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლით დაინტერესებულ სპეციალისტებს. შესაძლებელი იქნება აგრეთვე გზამკვლევებისა და საინფორმაციო ბიულეტენების გამოშვება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ლეჩხუმში ტურისტების მოზიდვას.

 ხვამლის მთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციისათვის უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

• წყაროთმცოდნეობით-ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული კვლევა;
• ახლად მოძიებული ძეგლების/ობიექტების გავრცელების არეალისა და სავარაუდო საზღვრების დადგენა, ხოლო უკვე ცნობილის გადამოწმება-დაზუსტება
• ახლად მოძიებული და უკვე ცნობილი ძეგლების/ობიექტების ფოტოფიქსაცია;
• გამოვლენილი ობიექტების (უძრავი/მოძრავი) შესახებ ინფორმაციის ატვირთვა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს "კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში";
• სრული სამეცნიერო ანგარიშის მომზადება.

 არქეოლოგიური დაზვერვების ჩატარების პირობები

• სამუშაოების ჩატარებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაოთა შესრულების ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფასეული ელემენტების შესანარჩუნებლად. მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოები შეასრულოს საველე-სადაზვერვო სამუშაოების მეთოდების სრული დაცვით;
• მიმწოდებელი ვალდებულია კვლევით სამუშაოებში ჩართოს სტუდენტები;

 შემსყიდველისთვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია

წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში, მიმწოდებელმა საბოლოო პროდუქციის სახით შემსყიდველს უნდა გადასცეს არქეოლოგიური კვლევის ჩატარების შედეგები, შემდეგი შემადგენლობით:

• შესწავლილი ტერიტორიისა და მასზე არსებული ობიექტების ფიქსაციის, მათ შორის ფოტო და ვიზუალური აღწერის მასალები;
• შესწავლილი ტერიტორიის (ობიექტის) ისტორიულ_ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევის მასალები, შესაბამისი წყაროების მითითებით. კერძოდ: სამუზეუმო და საარქივო მასალების (არსებობის შემთხვევაში _ ისტორიული რუკები და გენერალური გეგმები, ისტორიული საკადასტრო და ნაგებობების გეგმები, არქივებში დაცული, ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა, კოსმოსური და აეროფოტომასალები) მოძიება;
• შესწავლილ ტერიტორიაზე მოპოვებული პირველადი ინფორმაციის საარქივო მონაცემებთან მიმართების ანალიზი;
• ტექსტური აღწერილობა;
• გამოვლენილი ობიექტების (უძრავი/მოძრავი) შესახებ ინფორმაციის ატვირთვა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს "კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში" (ობიექტის ინფორმაციის შეტანა, ობიექტის შექმნა, რუკაზე განთავსება, ფოტოების ატვირთვა ანოტაციებით, გრაფიკული მონაცემების ატვირთვა, დოკუმენტაციის ატვირთვა). ინფორმაციის ატვირთვა ბაზაში უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების მიხედვით შედგენილი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ველების შესაბამისად. იხ. თანდართული ფორმები.

1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

ხვამლი-ხარჯთაღრიცხვა.xls

1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშის ჩაბარების საბოლოო ვადაა არაუგვიანეს 2019 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით

1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

ხვამლის მთის ტერიტორია.

1.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ?

არა

ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და მწარმოებლის შესახებ?

არა

2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

კი

2.2.1 მიუთითეთ პრეტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

პრეტენდენტს არქეოლოგიური მომსახურების სფეროში განხორციელებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო, წარმოდგენილი უნდა იქნას შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალის სახით დანართის მიხედვით (იხ.დანართი),

გამოცდილების ფორმა.pdf

2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

არა

2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

არა

2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

კი

2.5.1 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადებთან (გეგმა-გრაფიკი) დაკავშირებული მოთხოვნები

პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს გეგმა-გრაფიკი, სადაც უნდა მიეთითოს სამუშაოს ეტაპები, დასრულების ვადების და ეტაპების ღირებულებები. ეტაპების წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად საბოლოო ვადის შესაბამისად.

2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)?

არა

2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

არა

2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

არა

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

არა

4.1.3 მიუთითეთ კონკრეტულად თუ რის საფუძველზე არ იქნა გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება

მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე (ვინაიდან შესყიდვა მოიცავს ინტელექტუალურ მომსახურებას), ტენდერში არ გამოიყენება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

არა

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.5 მოითხოვება თუ არა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია?

არა

ანგარიშსწორების პირობები

7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

კი

7.1.1 მიუთითეთ წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა და პირობები

წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე (არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30%) საავანსო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას

7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის და ინსპექტირების დადებითი დასკვნის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ

7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

ხელშეკრულების პროექტი

8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება ხვამლი.pdf

საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

გუგა გოგაძე, 577253371, gogadze.guga@gmail.com *სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდულის –„კითხვა/პასუხის“ მეშვეობით ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში ქ. თბილისი, კრწანისის ქ. N58. ტელ: +995 032 2 18 06 49.*

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

1. ტენდერში მონაწილეობის მიღებით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

2.მიმწოდებელი ვალდებულია, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვებში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

3. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს სანოტარო წესით დამოწმებული ქართული თარგმანი.

4. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

5. თუ პრეტენდენტის მიერ მომსახურების ხარჯთაღრიცხვის თანხა ნაკლები იქნება სისტემის შესაბამის ველში დაფიქსირებულ ფასზე პრეტენდენტის წინადადებად განიხილება მომსახურების ხარჯთაღრიცხვაში მითითებული საერთო ფასი.

6. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

7. სატენდერო წინადადებაში ფასი უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს (დღგ-ს გარეშე), მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს (იმის მიუხედავად არის თუ არა პრეტენდენტი დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული). გამარჯვებულთან, თუ იგი დღგ-ს გადამხდელად არის რეგისტრირებული, მომსახურების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება დღგ-ს ოდენობა. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

8. პრეტენდენტის მიერ ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით მომსახურების ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას დაზუსტების გარეშე.

სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი